

შპს „იგატუ“

შპს „იგატუ“
ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2019 წლის 31 დეკემბერს

შპს „იგატუ“

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	31.12.2019 წ.	31.12.2018 წ.	31.12.2017 წ.
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	66792	195686	209973
სავაჭრო მოთხოვნები	2772341	1276691	1664311
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	75121	44596	9000
მარაგები	1289503	1704806	1589106
_მზა პროდუქცია	1124630	1228496	899434
_სხვა მარაგები	164873	476310	689672
საინვესტიციო ქონება			
გაცემული სესხები	271600		
სხვა მიმდინარე აქტივები	580719	352906	261947
სხვა არამატერიალური აქტივები	722	815	909
ძირითადი საშუალებები	438150	305078	335998
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	5494948	3880578	4071244
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	1095477	612004	673855
საგადასახადო ვალდებულებები			
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		1000	3200
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	286770	267660	129610
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1717368	1274573	1626772
სხვა ვალდებულებები	1803		
სულ ვალდებულებები	3101418	2155237	2433437
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	50000	50000	50000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	2343530	1675341	1587807
სარეზერვო კაპიტალი			
სულ საკუთარი კაპიტალი	2393530	1725341	1637807
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5494948	3880578	4071244

დირექტორი:



ზ. ჯანელიძე

შპს „იგატუ“

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2019 წ.	2018 წ.
ნეტო ამონაგები	11614128	9158923
საქონლის გაყიდვიდან	11572385	9116873
მომსახურების გაწევიდან	41743	42050
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-9844608	-8131292
საერთო მოგება	1769520	1027631
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-356497	-288578
ცვეთა და ამორტიზაცია	-77502	-105633
საპროცენტო შემოსავალი:	21402	
საპროცენტო ხარჯი :	-170505	-176678
იჯარის ხარჯი	-29900	-25822
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-260482	-201901
სულ საოპერაციო ხარჯები	-873484	-798612
საოპერაციო მოგება	896036	229019
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-3572	-2474
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-99512	-64064
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	792952	162481
მოგების გადასახადი	-28263	-11242
მოგება/(ზარალი)	764689	151239
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	764689	151239
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1725341	1637807
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-96500	-63705
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2393530	1725341

დირექტორი:



ზ. ჯანელიძე

შპს „იგატუ“

ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

	2019 წ.	2018 წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	152435	477256
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-228380	-40990
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-68091	-424859
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-144036	11407
სავალუტო კურსის ეფექტი	15142	-25694
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	195686	209973
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	66792	195686

დირექტორი:



ზ. ჯანელიძე

1. კომპანიის შესახებ

შპს „იგატუ“, ს/ნ 412685054, (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) დაარსდა 2012 წლის 14 ივნისს, მდებარეობს საქართველოში და დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ხელმძღვანელები და პარტნიორები არიან:

დირექტორი: ზაალი ჯანელიძე - პ/ნ 60002016034

პარტნიორი: იური აბულაძე - პ/ნ 60002001082

ძირითადი და დამატებითი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მეორადი აკუმულატორების გადამუშავების შედეგად ფერადი ლითონის ჩამოსხმა და მისი ექსპორტი, ასევე კომპანიის დამატებით საქმიანობას წარმოადგენს ადგილობრივ ბაზარზე საბითუმო ვაჭრობა საავტომობილო ზეთებით და აკუმულატორებით.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. საქართველო, ქ. ქუთაისი, მ. ბროსეს ქუჩა #5ბ 9. კომპანიის საქმიანობის ადგილია საქართველო.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად. ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ძირითადი საშუალებები. ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია აკუმულირებული ამორტიზაციის გამოკლებით.

მცირე საექსპლუატაციო რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება.

ცვეთა. მიწას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით.

მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.

სესხები. სესხები აღირიცხება თვითღირებულებით.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი
	<u>2019</u>
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677
ლარი/1 ევრო	3.2095

შემოსავლის აღიარება. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

საქონლის რეალიზაცია

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული და ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

პერსონალთან დაკავშირებული ხარჯები. ხელფასები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურებების გაწევის წელს.

3. მარაგები

2017, 2018, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
საქონელი	840 352	843 762	654 506
მზა პროდუქცია	284 278	384 734	244 928
სხვა მარაგები	164 873	476 310	689 672
სულ მარაგები	1 289 503	1 704 806	1 589 106

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2017, 2018, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
სავაჭრო მოთხოვნები	2 772 341	1 276 691	1 664 311
გადახდილი ავანსები	53 718	44 596	9 000
მისაღები პროცენტები	21 403	0	0
გაცემული სესხები	271 600	0	0
სულ მოთხოვნები	3 119 062	1 321 287	1 673 311

5. ფული და ფულის ექვივალენტები

2017, 2018, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული სალაროში	25 542	85 970	73 964
ფული ბანკში	41 250	109 716	136 009
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	66 792	195 686	209 973

კომპანიის ფული ბანკში განთავსებულია სს საქართველოს ბანკის საბანკო ანგარიშებზე.

6. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან და მომსახურების გაწევიდან

2018, 2019 წელს კომპანიის შემოსავალი შემდეგია:

	2019	2018
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	11 572 385	9 116 873
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	41 743	42 050
სულ შემოსავალი	11 614 128	9 158 923

7. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

2018, 2019 წელს ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2019	2018
მიწოდების ხარჯი	66812	54 786
საგადასახადო ხარჯი	71809	57 832
სოციალური დანარიცხები	5410	0
საბანკო ხარჯი	18591	17 227
საკანცელარიო და ინტერნეტის ხარჯი	652	328
მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	70282	41 001
წარმომადგენლობითი ხარჯი	2125	4 854
მივლინების ხარჯი	0	317
დაზღვევის ხარჯი	4858	4 271
სხვა ხარჯები	19943	21 285
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	260 482	201901

8. მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ამ შეფასების გამოყენებისას გათვალისწინებული იქნა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო - მატერიალური მარაგები და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.